



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N181



2013 წლის 24 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2014 წლის მუნიციპალური პროგრამისა და მტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2014 წლის მუნიციპალური პროგრამა (თან ერთად).
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2014 წლის 1 იანვრიდან.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. #15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლე პირთა სია

№	დასახელების დახმარების სახე	ბენეფიციარები	სოციალური სტატუსი (ქულა)	სოციალური დახმარების მიზნობრიობა, მოცულობა	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	
1	ქრონიკული დაავადებების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ა. ეპილექსიით დაავადებულები; ბ. პარკინსონიზმით დაავადებულები; გ. ონკოლოგიური ავადმყოფები; დ. დაუნის სინდრომით დაავადებულები; ე. ბრონქული ასთმით დაავადებულები;	0-100 000	მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში	1. განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ა; 4. ექიმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშგაქვრა კალკულაციით აფთიაქიდან; 6. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან;	20 000 ლარი
2	ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვების/მოზარდების რეაბილიტაცია	სქოლიოზით დაავადებული ბავშვები/მოზარდები, ებილექსიით, ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები (30ბავშვი);	0-100 000	სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 300 ლარის ფარგლებში	1. განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ა; 4. ანგარიშგაქვრა სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან; 5. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან;	9 000 ლარი
3	ენდოკრინოლოგიური დაავადებებით დაავადებულ ბავშვთა/მოზარდთა დახმარება	ენდოკრინოლოგიური დაავადების, რომელიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, მქონე ბავშვები/მოზარდები (10 ბავშვი)	0-100 000	მკურნალობის ღირებულების დაფინანსება 100 % -ით, მაგრამ არა უმეტეს 300ლარის;	1. განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ა; 4. ექიმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშგაქვრა კალკულაციის აფთიაქიდან/სამედიცინო დაწესებულებიდან; 6. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან;	3 000 ლარი
4	ფენილკეტონური დაავადებული ავადმყოფების დახმარება	ფენილკეტონური დაავადებით დაავადებულნი	0-100 000	ავიღებელი ცილაგამოცლილი კვების პროდუქტების ღირებულების თანადაფინანსება-არაუმეტეს 500 ლარის	1. განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ა; 4. ექიმის დანიშნულება; 5. სპეციალიზებული მიმწოდებელი ორგანიზაციის ცნობა-დანიშნული ცილაგამოცლილი პროდუქტების ღირებულების და ამ ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები; 6. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან;	1 000 ლარი

5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	ა). მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირები; ბ.) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებიც დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებენ და/ან საჭიროებენ მომვლელს (50 პირი)	0-100 000	500 ლარი, მთ შორის მდივანებების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში	1. განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. საექიმო-საექსპერტო კომისიის დასკვნის ასლი; 4. ექიმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშგაქვრა კალკულაციით ავთოაქიდან; 6. აინაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან; 7. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;	25 000 ლარი
6	დედ-მამით ობოლი ბავშვების/მისი სარდების დანხარება	18 წლამდე(ჩათვლით) დედ-მამით ობოლი ბავშვები/მთხარდები	—	ა) ბავშვა საერთაშორისო დღესთან - 1 ივნისთან დაკავშირებით-200ლარი; ბ) შოგადსაგანმანათლებლო სკოლის/კოლეჯის/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სრული პურსის დასრულებასთან დაკავშირებით- 500 ლარი	1. მეურვის(მზრუნველის) განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ბავშვის/მთხარადის პირადობის/დაბადების მოწმობის ასლი; 4. ცნობა სწავლის სრული პურსის დამთავრებასთან დაკავშირებით; 5. ბავშვის/მთხარადის მეურვის საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;	2 500 ლარი
7*	სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობის სოციალური დახმარება	უმწყო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები (სავარაუდო კონტინგენტი 1 300 ოჯახი)	0-35 000	ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 300ლარისა	1. განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ა; 4. ექიმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშგაქვრა კალკულაციით ავთოაქიდან; 6. აინაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან; 7. ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული რეკომენდაცია (სოციალური სტატუსის არარსებობის შემთხვევაში); 8. სხვა დოკუმენტები საჭიროების მიხედვით;	210 000 ლარი

8	ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს/ან ნაწილობრივ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა	0-100 000	დაუფინანსებელი თანხის 50%, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა	1- განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ს; 5. წინასწარი ანგარიშგაქვურა კალკულაციით სამედიცინო დაწესებულებიდან; 6. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან; 7. ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის რეკომენდაცია (სოციალური სტატუსის არასებობის შემთხვევაში);	60 000ლარი
9	ხელმოკლე სტუდენტების დახმარება	ა) აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ხელმოკლე სტუდენტები; ბ)საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში,აგრეთვე საქართველოს შვიარაღებულ ძალებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურეობრივი მოვლუობის შესრულების დროს დაღუპულთა შვილები;(სავარაუდო კონტინგენტი -160 სტუდენტი)	ა)0-57 000; ბ)0-100 000	სწავლის ქირის დაფინანსება 800 ლარის ფარგლებში	1. განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3.სტუდენტის ბილეთის ასლი (ან ცნობა სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ); 5.ანგარიშგაქვურა გადასახდელი სწავლის ქირის ოდენობის შესახებ; 6. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან; 7.შობლის დაღუპვის გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები(პ.ბ.);	160 000 ლარი
10	მიცვალბულითა სარიტუალო მომსახურება	1)ომის ვეტერანები ვეტერანის მოწმობის მიხედვით: აქმორე მსოფლიო ომის მონაწილეები (კოდები-958 100; 958 111;958 112;958 113);ბ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილეები (კოდები- 958 300; 958 311; 958 312; 958 313);გ)სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილეები(კოდები-958 200;958 211; 958 212;958 213; 2)დევნილის მოწმობის მიხედვით მუნიციპალიტეტში რეესტრირებული დევნილები; 3)უკვატრონო მიცვალბულითა	---	250 ლარი - დაკრძალვის ხარჯებისათვის;	1. განცხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ვეტერანის ან დევნილის მოწმობის ასლი; 4. ცნობა გარდაცვლების შესახებ; 5. დაკრძალვის ხარჯების მიღწევი პირის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები; 6. ტერიტორიული ორგანოს ინფორმაცია გარდაცვლილის უკვატრონობის შესახებ(ვ.3);	15 000 ლარი

11	ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების სოციალური დახმარება	1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდები (კოდები-958 311; 958 312; 958 313) 2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები(კოდი-958 501) 3. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები (კოდი 958 100)		ასაქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან-26 ლარი(ვ.1.2); ბ) ფაშინაძე გამარჯვების დღესთან-9 მასთან დაკავშირებით- 200 ლარი(ვ.3)	ტენფეციართა კონტინენტს და მათ საბანკო (საკემსიო) ანგარიშებს აზუსტებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	22 000 ლარი
12**	ხანძრისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება	აქმნიციბალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები; ბ)ოჯახები, რომელთა სავსოვრებელი სახლის ძირითადი კონსტრუქციულ ელემენტებს ხანძარმა ან სხვა სტიქიურმა მოვლენებმა არსებითი ზიანი მიაყენა	---	ასახლის (სახურავის) აღდგენისათვის საქართველოს მასალების(ხის მასალა,შოფერი) ლირებულზე-არა უმეტეს 3000 ლარისა; ბ)500 ლარი;	1. განცხადება გაგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. დასკვნა ხანძრისა ან სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად მიყენებული ზიანის ხარისხის შესახებ; 4. საბანკო დაქვებულაბაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;	20 000 ლარი
13	ასი და მეტი წლის უზუცესთა დახმარება	ასი და მეტი წლის უზუცესები	---	500 ლარი, მათ შორის 100 ლარი მედიკამენტებისათვის	1. განცხადება გაგებლის სახელზე ან ტერიტორიული ორგანოს რეზუმეზულის წარდგინება; 2. პირადობის მოწმობის ასლი. 3. ფორმა №IV-100/ა 4. მქიმის დანიშნულება. 5. წინასწარი ანგარიშგაქვრა კალკულაციით აფთიაქიდან . ნსახანკო დაქვებულაბაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;	3 000 ლარი

14	მრავალმედიანი(ოთხი და მეტი შვილი)დედების დახმარება	მრავალშვილიანი დედები	---	ა)მომდინარე საბიუჯეტო წესს დაბადებული მე-4 შვილზე 400 ლარი; მე-5, მე-6 და ა.შ. შვილზე 500 ლარი; ბ) დედის დღესთან დაკავშირებით - 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 100 ლარი.	1. განეხადება გამგებლის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ყველა შვილის დაბადების მოწმობის ასლი; 4. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;	ა) 17 500 ლარი ბ) 50 000 ლარი
15	კვების პროდუქტების სადღესასწაულო პაკეტები	ა) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილი ოჯახები; ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახები	ა) 0 ბ) 10 - 20 000	კვების პროდუქტების პაკეტები 50 ლარის ფარგლებში	ბენეფიციარია კონტინენტს ახუსტებს ჯანმრთელობის ა და სოციალური დაცვის სამსახური	68 000 ლარი
16	სასჯელადსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების რესოციალიზაცია	2013წლის 1 იანვრიდან განვიღო პერიოდში სასჯელადსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირები რომლებს არ არიან დასაქმებული და მათი ოჯახები განიცდიან ეკონომიურ სიდუხჭირეს		ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 ლარის ფარგლებში	1. განეხადება გამგებლის სახელზე; 2. ცნობა სასჯელადსრულებიდან განთავისუფლებულის შესახებ; 3. ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის რეკომენდაცია;	10 000 ლარი

შენიშვნა : * - საკითხს იხილავს და დასკვნას ამზადებს საკრებულოს დადგენილებით შექმნილი სპეციალური კომისია
 ** - საკითხზე დასკვნას ამზადებს ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური, სახანძრო-სამაშველო სამსახურთან და შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან ერთად

პროგრამის სათაური	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა
პროგრამის მიზანი	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა
პროგრამის რეგულირების სფერო	მკურნალობის, მედიკამენტების, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების თანადაფინანსება; ერთჯერადი ფულადი-დახმარება.
პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე, ბენეფიციარები	სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, რომელთა მკურნალობის/გამოკვლევის/მედიკამენტების ხარჯები არ ფინანსდება ან სრულად არ ფინანსდება დაზღვევით ან საყოველთაო ჯანდაცვის სახ. პროგრამით; უმწეო მდგომარეობაში მყოფნი, ხელმოკლე და სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობა (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, სტუდენტები, მოსწავლეები, დევნილები, ომის მონაწილენი და ომში დაღუპულთა ოჯახები, მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან განთავისუფლებული პირები, ხანძრით და სხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულნი) №1 დანართის შესაბამისად.
ბენეფიციართა სავარაუდო ოდენობა	2000 პირი/ოჯახი
პროგრამის მოქმედების ვადა	ერთი წელი
პროგრამის დაწყების თარიღი	01.01.2014 წ.
პროგრამის დასრულების თარიღი	31.12.2014 წ.
გასაცემლის პერიოდულობა	ერთჯერადი
პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური თანხის ოდენობა	არ არის განსაზღვრული
პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მაქსიმალური თანხის ოდენობა	3 000 ლარი
პროგრამის ბიუჯეტი	696 000 ლარი
დაფინანსების წყარო	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი
პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე	მარტივი
სოციალური დახმარების მიღების ფორმა	უნაღდო ანგარიშსწორება
გადაწყვეტილების მიმღები პირი/ორგანო	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

პროგრამის ადმინისტრირების (მისი მართვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის)
წესები და პირობები

განაცხადის მიღებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო:

საქმიწარმოების, ინფორმაციისა და საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახური

განაცხადის დამუშავებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო:

საქმიწარმოების, ინფორმაციისა და საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახური

საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო:

ა) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან ერთობლივად

ბ) ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტ.
კეთილმოწყ. სამსახური სახანძრო დაცვის სამსახურთან და
შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან ერთობლივად
(ხანძრით და სხვა სტიქიური მოვლენებით
დაზარალებულთა მიმართებით)

გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

ა) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ბ) ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტ.
კეთილმოწყ. სამსახური- სახანძრო დაცვის სამსახურთან და
შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან ერთობლივად

გადაწყვეტილების პროექტის ვიზირებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

გამგებლის მოადგილეები, საბიუჯეტო დაგეგმვის,
მოსაკრებლის ადმინ. და საფინანს. ზედამხ. სამსახური
იურიდიულ უზრუნველყოფისა და შიდა აუდიტის
სამსახური

გადაწყვეტილების აღსრულებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახური

პროგრამის ზედამხედველობაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

გამგებლის მოადგილე სოციალურ სფეროში

პროგრამის პერიოდულ მონიტორინგზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
უფროსი

პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. მაძიებლის/წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. მაძიებლისა და წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ქსეროასლები;
3. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
4. განცხადებით მოთხოვნილი სოციალური დახმარების შესაბამისად:
 - ა) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა № IV- 100/ა;
 - ბ) ექიმის დანიშნულება;
 - გ) ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით - მომსახურების/მედიკამენტების ღირებულების შესახებ;
 - დ) სოციალური სტატუსის (პენსიონერი, შშმ პირი, მრავალშვილიანი, დევნილი და ა.შ.) დამადასტურებელი საბუთის ქსეროასლი;
 - ე) ტერიტორიული ორგანოს რეკომენდაცია- პირის/ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მაძიებლისათვის სოციალური დახმარების გაწევის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ირიცხება სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში);
 - ვ) საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი ინფორმაცია.

სოციალური პროგრამით სარგებლობის დამატებითი პირობები

1. განაცხადის შეტანაზე უფლებამოსილი პირები: ოჯახის ნებისმიერი, სრულწლოვანი წევრი (ფიზიკური პირი);
2. ოჯახის წევრებს მიკუთვნების პრინციპი: ერთ მისამართზე მცხოვრები პირები, რომელთაც აქვთ შემდეგი ნათესაური კავშირი: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, შვილი, შვილიშვილი, ცოლი, ქმარი, და, ძმა.
3. წარმომადგენლის დაფიქსირების ფორმა: განმცხადებლის მიერ დაფიქსირებული პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ოჯახის წევრის მიკუთვნების პრინციპებს.
4. წარმომადგენლის ცვლილების პირობა: განმცხადებლის ან ბენეფიციარის მიმართვის საფუძველზე.
5. საკონტაქტო პირის დაშვების ფორმა: ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც მითითებული იქნა განმცხადებლის მიერ განაცხადის შევსების პროცესში.
6. საკონტაქტო პირის ცვლილების პირობა: საკონტაქტო პირის, განმცხადებლის ან ბენეფიციარის მიმართვის საფუძველზე.
7. განაცხადის ტიპური, წერილობითი ფორმა: რეგულირდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით.

მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესი, პირობები და მონაწილე მხარეები

ფულადი სოციალური დახმარების გაწევის თაობაზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილება აღსრულდება გამგეობის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურის მიერ, რომელსაც საფუძვლად უდევს გამგებლის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, ან საკრებულოს განკარგულება.

გამონაკლისი და გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევები

გამონაკლისის და/ან გადაუდებელი აუცილებლობისას საქმეზე გადაწყვეტილების მიღება ხდება დაჩქარებული წესით, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას მუნიციპალიტეტის გამგებლის (ან საკრებულოს თავმჯდომარის) მიერ ერთპიროვნულად, შესაბამისი ვიზირების პროცესისა და საქმის საკრებულოზე განხილვის გარეშე.

გამონაკლისის და/ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს ან პირის მიერ გაცემული ცნობით.

გამონაკლისის და/ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში თანხის ანაზღაურება გამგებლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით სრულდება 300 ლარის ფარგლებში პროგრამის ბიუჯეტიდან. დამატებითი სახსრების გაღება დასაშვებია მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველზე.